ESTDEV
From the people of Estonia

ESTONIAN REFUGEE COUNCIL

Mtskheta-Mtianeti Regional Hub

# სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება - დევნილთა და ლტოლვილთა ხმა საქართველოში

დევნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდამჭერის

# სოციალური პროგრამები

## საინფორმაციო ბროშურა

## 2024 წელი

# ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## 1 შშმ არასრულწლოვანთა დახმარება

1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვნები, რომლებიც არიან ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
2. დახმარების მისაღებად არასრულწლოვნის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) არასრულწლოვნის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი;
დ) არასრულწლოვნის დევნილობის მოწმობის ასლი;
ე) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) საბანკო რეკვიზიტები;

## 2 შშმ სტუდენტთა ერთჯერადი სოციალური დახმარება

1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც არიან ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. დახმარების მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებმა ერედვის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
დ) ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დასებულებიდან - „აქტიური“ სტატუსის მქონე სტუდენტის;
ე) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) საბანკო რეკვიზიტი;

ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

## 3 შშმ პირებისათვის ყურის სასმენი აპარატებით დახმარება



1. ყურის სასმენ აპარატებს მიიღებენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის მუნიციპალიტეტში, აქვთ სმენის დაქვეითება და საჭიროებენ ყურის სასმენ აპარატებს.
2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილობის მოწმობის ასლი;
დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100), სადაც აღნიშნული იქნება, რომ პირს ესაჭიროება ყურის სასმენი აპარატი;

# თიღვის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## 1 შშმ პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება

1. თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი პირველი ჯგუფის ინვალიდები და 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდულიშესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ თიღვის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდანმიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
2. დახმარების მისაღებად მოქალაქემთიღვის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია.
ა) განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) შეზღუდულიშესაძლებლობის მქონე პირის დაბადების მოწმობის ან პირადობისმოწმობის და დევნილობის მოწმობის ასლი;
დ) შეზღუდულიშესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ე) საბანკო ანგარიში;

# ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## 1 შშმ პირების დახმარება

1. ერთჯერად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ:
ა) მკვეთრად შშმ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ქურთის მუნიციპალიტეტში;
ბ) ბავშვობიდან შშმ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ქურთის მუნიციპალიტეტში;
2. შშმ პირმა (მეურვემ/მზრუნველმა) ქურთის მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) შშმ პირის დევნილობის დამადასტურებელი- მოწმობის ასლი;
დ) შშმ პირის- პირადობის მოწმობის ასლი;
ე) შშმ პირის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ვ) განმცხადებლის, მეურვის/მზრუნველის საბანკო ანგარიში;
3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

## 2 შშმ პირებისათვის სავარძელი ეტლებით დახმარება

1. სავარძელ ეტლებს მიიღებენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ქურთის მუნიციპალიტეტში და საჭიროებენ სავარძელ ეტლებს.
2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:



ა) განცხადება გამგებლის სახელზე:
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილობის მოწმობის ასლი;
დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნული იქნება, რომ პირს არ შეუძლია სავარძელი ეტლის გარეშე გადაადგილება.

## 3 შშმ პირებისათვის სასმენი აპარატებით დახმარება

1. სასმენ აპარატებს მიიღებენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ქურთის მუნიციპალიტეტში და საჭიროებენ სასმენ აპარატებს.
2. დახმარების მისაღებად მოქალაქემ ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება გამგებლის სახელზე:
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილობის მოწმობის ასლი;
დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნული იქნება, რომ პირს ესაჭიროება სასმენი აპარატი.

# გორის მუნიციპალიტეტის მერია

## 1 სტუდენტების დახმარება

ერთჯერადად 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით დახმარება გაეწევათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ პროგრამაზე.
დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადება მერის სახელზე;
ბ) ცნობა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
გ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის შემთხვევაში – სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი;
დ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;
ვ) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

## 2 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შშმ პირების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე პირების სოციალური დახმარება

- გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად, 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;



- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დამატებით ერთჯერადად დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (26 მაისი);

## 3 მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
2. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალურისარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატულ (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ერთჯერადად ფულადი დახმარება გაეწიოთ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. სმენადაქვეითებულ (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9
შეზღუდული შესაძლებლობისმქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი
ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარისოდენობით.
4. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა ან/და მისიოჯახის
უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის
მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგისახის დოკუმენტაცია:
ა) განცხადებამერის სახელზე;
ბ) დახმარებისმიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი
ან რეგისტრაციისადგილის ამონაწერი ან/და
იძულებითგადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;
გ) მხედველობითმკვეთრად და მნიშვნელოვნად
გამოხატულიშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (სტატუსით –
უსინათლო, ყრუ-მუნჯობა) შემთხვევაში - უფლებამოსილი ორგანოს
მიერ გაცემული მკვეთრადდა მნიშვნელოვნად გამოხატული
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ყოფნის
დამადასტურებელი დოკუმენტი.
დ) დახმარებისმიმღების საბანკო ანგარიში;



# საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ცხელი ხაზი: 1505

ერედვის,ქურთის და თიღვის მუნიციპალიტეტების გამგეობები
ქ. თბილისი, დიდი დიღომი, როსტევან მეფის ქ. №57 (თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ)

გორის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.გორი, გრიგოლ ფერაძის №5

მარიამ მარიამიძე
+995 574 87 73 04

საინფორმაციო ბროშურა შექმნილია პროგრამის “სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება - დევნილთა და ლტოლვილთა ხმა საქართველოში” ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ესტონეთის ლტოლვილთა საბჭოსა და ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრის შეხედულებებს.